



აპრილი
2019 / #25

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

ცენტრი "აფხაზეთი"
მუშაობს ოთხი
პროგრამული
მიმართულებით

საარსებო წყაროების უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარება

თემის განვითარება და ადვოკატირება

ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა და განვითარება

მშვიდობის მშენებლობა და ნდობის აღდგენა



საქველმოქმედო ჰუმანიტარულმა ცენტრმა „აფხაზეთმა“ აპრილში დაასრულა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელება. პროექტი „მოზარდების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბება“ 29 თვის მანძილზე კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ქ. თბილისში მიმდინარეობდა. პროექტში ჩართული იყო 144 სახელმწიფო ბრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდი. პროექტის მიღწევებზე, წარმატებებზე, შედეგებსა და რეკომენდაციებზე ანგარიში იხილეთ ანგარიში იხილეთ აქ <https://bit.ly/2VikM3o>



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

პროექტის დახურვის ღონისძიება 25 აპრილი / "ფაბრიკა" / თბილისი



პროექტის დასკვნით ღონისძიებას დაესწრნენ დონორი და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, პროექტის ბენეფიციარები და ბავშვთა თემებზე მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიებაზე ნაჩვენეი იყო დოკუმენტური ფილმი „მე ვარ“ და, აგრეთვე, გამოფენილი იყო პროექტის მონაწილეების სურათები.



პროექტის მიზანი გახლდათ სახელმწიფო ბრუნვის პროგრამაში ჩართული მოზარდების გაძლიერება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ამ მიზნის მიღწევა ხდებოდა ტრენინგების, სტაჟირების და დასაქმების გზით. პროექტის განხორციელების არეალი იყო კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი და თბილისი. პროექტს ახორციელებდნენ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, საზოგადოება „ბილიკი“ და „დივან ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია“.



6 სოციალური საწარმო მოზარდების სამსახურშია

პროექტის ფარგლებში თელავში, გორსა და თბილისში დაფუძნდა 6 სოციალური საწარმო. პროექტის ბენეფიციარებმა საწარმოებში გაიარეს გადამზადების კურსი, ხოლო მათი ნაწილი დასაქმდა და გაუჩნდა სტაბილური შემოსავალი.

თელავი: „ნაბიჯი დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ“ - ყველის წარმოება; „ელვა დელივერი“ - საკვების ადგილზე მიტანის სერვისი

გორი: „ტკბილი მომავალი“ - საკონდიტრო; „პიცის სახლი“

თბილისი: „3DRTC“ - სარეკლამო კომპანია; „თეისტი“ - კაფე/ლანჩის მიწოდება.



144 მოზარდი დამოუკიდებელ ცხოვრებას მომზადებული შეხვდება

144 სახელმწიფო ბრუნვის ქვეშ მყოფი მოზარდი ჩართული იყო პროექტის აქტივობებში და მიიღო სხვადასხვა სახის სარგებელი, რაც მომავალში მათ, 18 წლის შესრულების შემდეგ, გაუადვილებს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას. კერძოდ - 116-მა მოზარდმა გაიარა სოციალური უნარების და სოციალური საწარმოს შესახებ ტრენინგი; 99-მა მოზარდმა გაიარა სტაჟირების კურსი; 36 მოზარდი დასაქმდა და გაუჩნდა სტაბილური ყოველთვიური შემოსავალი.

„რაოდენობრივ შედეგზე მეტად მნიშვნელოვანი თვისობრივი შედეგი გახლავთ. აქ საქმე ეხება ბავშვის ბედს, რომელიც ჩვენ შეგვიძლია წარვმართოთ უკეთესობისკენ ან უარესობისკენ. ჩვენი პროექტის შედეგად მოზარდების უმეტესობა უფრო ძლიერი შეხვდება სრულწლოვან ასაკს. დღეს ისინი არიან თავდაჯერებულნი, გახსნილნი, აქვთ საკუთარი ძალების და რესურსების რწმენა. ამ მიღწევის ციფრებში გამოსახვა შეუძლებელია, მოზარდებისათვის მიღებული გამოცდილება უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე“.

**თეა კაჭარავა
პროექტის მენეჯერი**



ნინო გოგატიშვილი, პროექტის მონაწილე და სოციალური საწარმოს თანადამფუძნებელი

„ამ პროექტმა ბევრი რამ მასწავლა: მეგობრობა, ტოლერანტობა და შეუპოვრობა. ვფიქრობ, ყველაფერი გამოგვივა და ჩვენი სოციალური საწარმო ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს. დიდი არც მე ვარ, მხოლოდ 18 წლის გახლავართ. უბრალოდ უნდა ირწმუნო საკუთარი თავის და არასოდეს დანებდე. ჩემს თანატოლებს ვურჩევ დრო სწალას და სასიკეთო საქმეებს მოახმარონ.“

„სოციალური საწარმოს ახალი, ინოვაციური მოდელი ითვალისწინებს ცენტრი „აფხაზეთის“, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის და მოქმედი წარმატებული ბიზნესის მიერ ახალი არასამწარმოო იურიდიული პირის დაფუძნებას. სოციალური საწარმოს მისიას უზრუნველყოფს ჩვენი ტიპის სუბიექტის ჩართულობა, ხოლო საწარმოს მაღალ ფინანსურ/ეკონომიკურ ეფექტიანობას გამოცდილების მქონე ბიზნეს სუბიექტი. ვფიქრობ, ეს მოდელი წარმოადგენს სოციალური და ბიზნეს სექტორების წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის მყარ საფუძველს.“

**ნუკრი მილორავა
აღმასრულებელი დრექტორი**



გიგა, 16 წლის, დასაქმებული სოციალურ საწარმოში “ტკბილი მომავალი”

„ჩემი სამუშაო დღე 9 საათზე იწყება. თანამშრომლები როგორც კი შევიკრიბებით, ვათანხმებთ დღის გეგმას. შემდეგ ვიცვლი და ვიწყებ მუშაობას. ვამზადებ ცომს, რომელსაც ქალები ფორმებში ასხამენ. თავიდან ბევრი რამე არ გამომდიოდა. ამჟამად, ჩვენი საწარმო თბილისის ბაზარზე მუშაობს. ძირითადად კექსებს, ჩხირებს და ჩიფსებს ვამზადებთ. ვფიქრობ, სამსახურმა შრომისმოყვარე და თავდაჯერებული გამხადა. ახლა შემიძლია ყველაფერი დამოუკიდებლად მოვამზადო.“